ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**გურამ ფირცხალაიშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2020 – 01.11.2021
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ს თავმჯდომარე;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი; 2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 20 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 23 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 21 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 57;

  განკარგულება - 190.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 10 სხდომა; დასწრება: - 9 სხდომა

  ბ) სივრცით-ტერიტორიული დაცაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

    ჩატარდა: - 9 სხდომა; დასწრება: - 9 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

  1. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებისაღიარების მუდმივმოქმედი კომისიის წევრი;

  2. ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის წევრი

  3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადებათა კონტროლის, კატასტროფების რისკის შემცირების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნობრივად გამოყენების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი

  4. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2020-2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას. ფრაქცია აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემატიკის განხილვაში და მათ ეფექტურად გადაჭრაში.

ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს პრიორიტეტებია: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ჯანსაღი კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ფრაქცია მიიჩნევს, რომ ქართული ეკონომიკის გასაძლიერებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ აქტიურად იყო ჩართული 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში, სადაც ფრაქციის წევრების ინიციატივით არაერთი წინადადება იქნა წარმოდგენილი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გზების რეაბილიტაცია და სხვა სამრეწველო თუ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად ვმართავდი შეხვედრებს ამომრჩევლებთან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველებმა“ 2020 წლის 20 ნოემბრიდან 2021 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი წარმატებით დაასრულა

თარიღი: 29.10.2021

ხელმოწერა: გურამ ფირცხალაიშვილი